

თემატური ჯგუფი-ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში

ჯგუფის სხდომის ოქმი №7

თბილისი, 13 ოქტომბერი, 2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მარინა ჟვანია - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;
2. ნინო კოპალეიშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კვლევის სამმართველოს უფროსი;
3. ნათია ვაჭარაძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურისკოორდინატორი;
4. ნინო ბერელიძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის კოორდინატორი;
5. ნანი დალაქიშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი;
6. ნინო ჟვანია - სსიპ ილიას უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი.
7. აბდულ კახიძე - სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
8. კონსტანტინე ჩოკორაია - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის კოორდინატორი
9. ეკატერინე ჩიკაშუა - სსიპ პროფესიულ კოლეჯ "აიტის" პროგრამების და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

სხდომის დღის წესრიგი:

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011 წლის თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე მომზადებული ღონიძიებების გეგმის განხილვა.

ქალბატონმა მარინა ჟვანიამ დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია, რომ სექტემბრის თვეში ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ მოისმინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პრეზენტაცია "პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანალიზი (2011 წლის ივნისის მდგომარეობით)", ანალიზი მოიცავდა გარკვეულ რეკომენდაციებს, თემატური ჯგუფის სხდომაზე კიდევ ერთხელ ვსაუბრობთ იმ

პრობლემებზე, რომლებიც გამოვლინდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011 წლის თვითშეფასების პროცესის დროს. პრობლემები ძირითადად შემდეგ სახეს ატარებდა:

- დაწესებულებებს უჭირთ თვითშეფასების ანგარიშში ადეკვატურად ასახონ ავტორიზაციის სტანდარტებთან (საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური და ადამიანური რესურსები) დაწესებულების რესურსების შესაბამისობა;
- ჩანს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არის ფუნქციით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს შიდა კოორდინირებული მოქმედებით ყველა დოკუმენტის სწორი ფორმით წარმოდგენას და თვითშეფასების ანგარიშში ასახვას;
- დაწესებულებებში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების (სტუდენტთა ჩარიცხვის, სტატუსის მინიჭების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, არაფორმალური განათლების აღიარების, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები) დადგენასა და მათ სწორად ასახვაზე თვითშეფასების ანგარიშში;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობას არ აქვს დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები, ასევე არ იკვეთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში დამსაქმებლების, სტუდენტებისა და მასწავლებლების ჩართულობა;
- დაწესებულებების უმრავლესობისთვის პრობლემად რჩება გრძელ- და მოკლევადიანი (ექვსწლიანი და ერთწლიანი) განვითარების გეგმების შემუშავება;

მოსაზრებები გამოთქვეს ნათია ვაჭარაძემ, ნინო ბერელიძემ, ნანი დალაქიშვილმა, რომლებმაც ისაუბრეს თვითშეფასების ანგარიშების გადამოწმების პროცესის შესახებ, რამაც კიდევ მეტი ხარვეზები გამოავლინა. გადამოწმების შედეგად 39 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას გაუუქმდა ავტორიზაცია.

თავიანთი გამოცდილების თაობაზე ისაუბრეს აბდულ კახიძემ და ნინო ჟვანიამ. ისინი წარმოადგენენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის სამსახურის უფროსებს, ამდენად, აქვთ გარკვეული გამოცდილება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დანერგვის მიმართულებით. მათ ისაუბრეს თვითშეფასების ანგარიშის შევსების პრაქტიკაზე, ყურადღება გაამახვილეს ამ პროცესის შიდა კოორდინაციის აუცილებლობაზე და იმ პირთა კვალიფიკაციაზე, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის შევსებაზე. აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნიათ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემის დანერგვა, რომლის

შედეგებსაც საგანმანათლებლო დაწესებულება გამოიყენებს ზოგადად სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დამსწრეები გაეცნენ რეკომენდაციებს, რომლებიც მომზადდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის მიერ.

რეკომენდაციები:

- თვითშეფასების პროცედურა/ანგარიშის შევსება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა მიმდინარეობდეს ყველადაინტერესებული პირის მონაწილეობით და ითვალისწინებდეს უკუკავშირის მექანიზმებს, პროცესი უნდა ემყარებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა კოორდინირებულ მოქმედებას.
- თვითშეფასებას უნდა წარმართავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც სასურველიაარსებობდეს ყველა დაწესებულებაში;
- სასურველია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მეტი თანამშრომლობა, რათა ხელი შეეწყოს თვითშეფასების კულტურის განვითარებას შესაბამისი რესურსების (ტრენინგ-კონსულტაციები, მეთოდური მასალები, გამოცდილების გაზიარება) უზრუნველყოფით;
- სასურველია, ცენტრის ხელშეწყობით (სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, სრულყოფილი თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და ვებ-გვერდზე განთავსება) მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, რაც მათ მისცემს გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას
- აუცილებელია, საგანმანათლებლო დაწესებულებებში განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფასა და თვითშეფასების ანგარიშის შევსებაზე პასუხისმგებელი პირები
- სასურველია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ამ პირებისთვის განხორციელდეს ტრენინგები ცენტრის მიერ მომზადებული ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოსა და ხარისხის მართვაში საგანმანათლებლო/სატრენინგო მოდულის მიხედვით;
- სასურველია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის ტრენინგები სტრატეგიასა და დაგეგმვაში, რომელიც დაემყარება დაგეგმვა/დანერგვა/შეფასება/განხილვის უწყვეტ პროცესს.

დამსწრეებმა იმსჯელეს წარმოდგენილი რეკომენდაციების გარშემო, ასევე განიხილეს სატრენინგო მოდულების სამუშაო ვარიანტები. მოსაზრებების შეჯერების შემდეგ გადაწყდა:

- მომზადდეს სატრენინგო პროგრამები შემდეგ თემებზე:
 - ✓ ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში
 - ✓ სტრატეგია და დაგეგმვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში
 - ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
- ტრენინგების პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას თემატური ჯგუფის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები და წარმოდგენილი რეკომენდაციები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პრაქტიკული გამოცდილება;
- ტრენინგები დაიგეგმოს 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 2012 წლის პირველ კვარტალში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით გადაწყდეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩამოყალიბების საკითხი.

ოქმის მწარმოებელი

ნანი დალაქიშვილი